ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5302210

ნომერი: AR1804814

თარიღი : 18.02.2021

გაცემის თარიღი : 17.03.2021

გაცნობის თარიღი : 18.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 109;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შპს რეალგაზი კოდი: 402000801

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 18 თებერვალს №AR1804814 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, თ. ერისთავის ქუჩა №8-ში, №01.12.12.003.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი №2) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 07 ივნისიდან 2020 წლის 07 ივნისის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, განმცხადებელს სურს ბრძანებაში ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 173.8 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: №892018004353; მომზადების თარიღი: 09/01/2018 წ.) ქალაქ თბილისში, ერისთავის ქუჩა №8-ში, №01.12.12.003.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ალფა რეზიდენსი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405195854).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ,,ალფა რეზიდენსი''-ს დირექტორებს წარმოადგენენ გიორგი ხუციშვილი და გია დავითაძე. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ,,ალფა რეზიდენსი''-ს დირექტორების მიერ განმცხადებლის მარიამ პაპუკაშვილის სახელზე გაცემული 2021 წლის 23 თებერვლის მინდობილობა (რეგისტრაციის ნომერი: №210145446), რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია ვინაიდან, სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმაზე (+0.10 ნიშნული) დატანილია 12 ღია ავტოსადგომი, რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 173.8 კვ.მ-ს. შესაბამისად, შესაძლებელია მათი ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 173.8კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებით შეთანხმებული -3, -2, -1 და 1 სართულის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე სართულების არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 07 ივნისის №4000565 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.